მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური

ბიუჯეტის 9 თვის შესრულების შესახებ

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

## შინაარსი

ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები ..... 3
შემაჯამებელი მიმოხილვა ..... 4
1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები ..... 6
2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები ..... 8
3. არაფინანსური აქტივების კლება ..... 10
4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები ..... 11
4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება ..... 12
4.2 საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები ..... 13
5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები ..... 15
დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება – მაგალითები ..... 17
დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები – მაგალითები ..... 19
დანართი 3. მუნიციპალიტეტების დაბალი ათვისების მქონე პროექტები – მაგალითები ..... 22

## ზოგადი შეფასება და შეფასების საფუძვლები

**მოხსენების სამართლებრივი საფუძვლები**

მოხსენება მომზადებულია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 102-ე მუხლის პირველი პუნქტის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეგლამენტის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის „ა.გ“ ქვეპუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 120-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

**მოხსენების დოკუმენტური საფუძვლები**

მოხსენების მოსამზადებლად გამოყენებულია:

ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მოხსენება „2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“;

ბ) მხარჯავი დაწესებულებების (სამინისტროები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები და სხვ.) მიერ მომზადებული ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების დოკუმენტები;

გ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული აუდიტების მასალები და დასკვნები.

**რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებლობა**

რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულებასა და შესრულების მიმდინარეობის შესახებ ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელნი არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა და მხარჯავი დაწესებულებები. რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სახსრების ხარჯვაზე, აღრიცხვასა და კონტროლზე პასუხისმგებელია შესაბამისი მხარჯავი დაწესებულება.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა**

მოხსენების სამართლებრივი საფუძვლებით განსაზღვრულ ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახური ამოწმებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ანგარიშში ასახვის სიზუსტესა და სისრულეს, ასევე ხარჯების კანონიერებას.

**ზოგადი შეფასება**

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მოხსენებაში წარმოდგენილი მნიშვნელოვანი საკითხების გარდა, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ მთავრობის ანგარიში მომზადებულია მოქმედი კანონმდებლობის დაცვით.

## შემაჯამებელი მიმოხილვა

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით შემოსულობები – 649,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 726,553.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. ივლისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი 708,750.0 ათას ლარამდე (9.2%-ით), გადასახდელების კი, 764,700.2 ათას ლარამდე (5.3%-ით) გაიზარდა.

2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულმა შემოსულობებმა 475,608.3 ათასი ლარი შეადგინა, რაც წლიური გეგმის – 67.1%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 100.1%-ია. წლიურ გეგმასთან მიმართებით, ამ პერიოდში მიღებული საშემოსავლო გადასახადის მობილიზების პროცენტული მაჩვენებელი 3.5 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს, ხოლო სხვა შემოსავლების – 15.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია წინა წლის შესრულების მაჩვენებელზე. სხვა შემოსავლების კუთხით საყურადღებოა „პროცენტების" და „ჯარიმები, სანქციები და საურავების" კომპონენტები, რომელთა შესრულების მაჩვენებელი წლიური გეგმის, შესაბამისად, 50.9% და 32.5%-ია. რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმიდან აგრეთვე ჩამორჩენით ხასიათდება არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსულობები. 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, ამ კომპონენტში მობილიზებულია 17,253.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 15.3%-ია, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 32.0%. მნიშვნელოვანია, საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.

რაც შეეხება ბიუჯეტის გადასახდელებს, 2024 წლის 9 თვის ათვისების მაჩვენებელი წლიური გეგმის 52.8%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 78.5%-ს (403,458.4 ათას ლარს) შეადგენს. შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციის პირობებში, 2024 წლის 9 თვის განმავლობაში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 72,149.9 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 128,140.5 ათასი ლარი შეადგინა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ფისკალური წლის დარჩენილ პერიოდში ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა არ მოხდეს საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილის წლის ბოლო თვეში დახარჯვა, ასევე გადასახდელების გეგმის შეუსრულებლობის გამო ნაშთის მოცულობის გაზრდა.

საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში საყურადღებოა, ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში გამოვლენილი ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ხშირი ცვლილებებითა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობით, კერძოდ:

- რიგ შემთხვევებში საბიუჯეტო ორგანიზაციის მიერ თანხების მობილიზება ხდება ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების გათვალისწინება ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე;

- გარკვეულ შემთხვევებში პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში ჭარბი ოდენობით ფინანსური რესურსი იგეგმება;
- გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება. კერძოდ, 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 60%-ზე დაბალი ათვისება აქვს 9 პროგრამასა (პროგრამების 12.7%) და 16 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 15.2%).

# 1. რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ტენდენციები

2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსულობები – 649,100.0 ათასი ლარით, ხოლო გადასახდელები 726,553.7 ათასი ლარის ოდენობით განისაზღვრა. ივლისში,[1] მოსალოდნელზე მაღალი ეკონომიკური ტენდენციების გათვალისწინებით, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელდა ცვლილება, რომლითაც შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი – 708,750.0 ათას ლარამდე (9.2%-ით), ხოლო გადასახდელები 764,700.2 ათას ლარამდე (5.3%-ით) გაიზარდა. 9 თვის მდგომარეობით, ფაქტობრივად მობილიზებულმა შემოსულობებმა 475,608.3 ათასი ლარი, ხოლო გაწეულმა გადასახდელებმა 403,458.4 ათასი ლარი შეადგინა.

***ცხრილი 1.*** *2024 წლის 9 თვის მდგომარეობით რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების მაჩვენებლები (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2022 წლის 9 თვის ფაქტი (1) | 2023 წლის 9 თვის ფაქტი (2) | 2024 წლის გეგმა (3) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (4) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (5) | წლიური გეგმის შესრულება (5)/(3) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (5)/(4) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| შემოსულობები | 314,878.6 | 389,149.0 | 708,750.0 | 475,151.5 | 475,608.3 | 67.1% | 100.1% |
| გადასახდელები | 252,290.0 | 321,530.1 | 764,700.2 | 513,713.6 | 403,458.4 | 52.8% | 78.5% |
| ნაშთის ცვლილება | 62,588.5 | 67,618.9 | -55,950.2 | -38,562.1 | 72,149.9 | -129% | -187% |

2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, როგორც შემოსულობების, ასევე გადასახდელების შესრულების მაჩვენებელი წლიურ გეგმასთან მიმართებით წინა წლის მონაცემებს ჩამორჩება. კერძოდ, 9 თვეში რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა წლიური გეგმით განსაზღვრული შემოსულობების 67.1% და გადასახდელების 52.8%.

***დიაგრამა 1.*** *წლიურ გეგმასთან მიმართებით 9 თვის და წლიური შესრულების მაჩვენებლები (%)*




[1] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 95-რს, 19/07/2024.

შემოსულობები გადაჭარბებით შესრულდა პირველი ორი კვარტლის განმავლობაში, მაშინ როდესაც გადასახდელები სამივე კვარტალში გეგმას ჩამორჩებოდა. კერძოდ, პირველ და მეორე კვარტლებში შემოსულობებმა კვარტლის გეგმას შესაბამისად, 2.4%-ით (3,362.0 ათასი ლარით) და 3.8%-ით (6,086.6 ათასი ლარით) გადააჭარბა, ხოლო მესამე კვარტალში – 5.1%-ით (8,991.8 ათასი ლარით) ჩამორჩენა დაფიქსირდა. გადასახდელების შემთხვევაში პირველ კვარტალში, კვარტლის გეგმიდან ჩამორჩენამ 40.9% (54,656.3 ათასი ლარი), მეორე კვარტალში – 14.2% (28,219.4 ათასი ლარი), ხოლო მესამე კვარტალში 15.1% (27,379.6 ათასი ლარი) შეადგინა.

***დიაგრამა 2.*** *2024 წლის 9 თვის მდგომარეობით შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულება კვარტალური განჭრილით განსაზღვრულ გეგმებთან.*




შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულების აღნიშნული ტენდენციის პირობებში, 2024 წლის 9 თვეში რესპუბლიკური ბიუჯეტის ნაშთი 72,149.9 ათასი ლარით გაიზარდა და სექტემბრის ბოლოს 128,140.5 ათასი ლარი შეადგინა.

***დიაგრამა 3.*** *შემოსულობების, გადასახდელებისა და ბიუჯეტის ნაშთის დინამიკა - 2024 წ. (ათასი ლარი)*




***დიაგრამა 4.*** *კომერციულ ბანკში განთავსებული ნაშთის მოცულობა - 2024 წ. (მლნ ლარი)*



ბიუჯეტის ნაშთის ზრდის პარალელურად, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახურის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული დეპოზიტების ნაშთის დინამიკა 2024 წლის 9 თვეში ძირითადად ზრდადი ტენდენციით ხასიათდებოდა და ამ პერიოდში 50 მლნ ლარიდან 120 მლნ ლარამდე გაიზარდა.

## 2. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები

რესპუბლიკური ბიუჯეტის თავდაპირველი კანონით, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 556,100.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 50,736.2 ათასი ლარით (10 %-ით) აღემატება 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს. 2024 წლის ივლისში, რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით, გადასახადების გეგმური მაჩვენებელი გაიზარდა 40,000.0 ათასი ლარით. შედეგად, შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 596,100.0 ათას ლარს გაუტოლდა, რაც 90,736.2 ათასი ლარით (18 %-ით) აღემატება 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.

***ცხრილი 2.*** *შემოსავლების 2024 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)*

| შემოსავლების კომპონენტები | 2024 წლის ბიუჯეტის კანონი - საწყისი (1) | 2024 წლის ბიუჯეტის კანონი - მოქმედი (2) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (3) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (4) | წლიური გეგმის შესრულება (4)/(2) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (4)/(3) |
|---|---|---|---|---|---|---|
| გადასახადები | 535,000.0 | 575,000.0 | 405,000.0 | 446,586.1 | 77.7% | 110.3% |
| სხვა შემოსავლები | 21,100.0 | 21,100.0 | 16,151.5 | 11,768.3 | 55.8% | 72.9% |
| სულ შემოსავლები: | 556,100.0 | 596,100.0 | 421,151.5 | 458,354.4 | 76.9% | 108.8% |

***დიაგრამა 4.*** *რესპუბლიკურ ბიუჯეტში მობილიზებული შემოსავლების მონაცემები 9 თვის მდგომარეობით (ათასი ლარი)*



2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, მიღებულმა შემოსავლებმა – 458,354.4 ათასი ლარი, წლიური გეგმის 76.9% შეადგინა (2023 წლის ანალოგიური მაჩვენებელია 77.4%). მათ შორის, საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულ იქნა 446,586.1 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 77.7%-ია.

2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, გადასახადები მობილიზების მაღალი ტენდენციით ხასიათდება. კერძოდ, 9 თვეში მიღებულია გადასახადების წლიური გეგმური მაჩვენებლის 77.7% (2022-2023 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 78.5% და 77.4%-ია). **სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, აღნიშნული ტენდენციის შენარჩუნების პირობებში, წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია, რომ გადასახადებმა გეგმურ მაჩვენებელს გადააჭარბოს.**

რაც შეეხება **სხვა შემოსავლების** შესრულების მდგომარეობას, 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით „სხვა შემოსავლების“ წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი – 21,100.0 ათასი ლარით, ხოლო 9 თვის მაჩვენებელი 16,151.5 ათასი ლარით განისაზღვრა. 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით „სხვა შემოსავლების“ მუხლით მობილიზებულია 11,768.3 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის – 55.8%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის 72.9%-ს შეადგენს.

***ცხრილი 3.*** *რესპუბლიკური ბიუჯეტის „სხვა შემოსავლების“ 2024 წლის 9 თვის შესრულების მაჩვენებლები (ათასი ლარი)*

| სხვა შემოსავლების კომპონენტები | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|
| შემოსავლები საკუთრებიდან | 15,632.0 | 12,050.5 | 8,094.7 | 51.8% | 67.2% |
| *პროცენტები* | 14,706.1 | 11,406.1 | 7,480.7 | 50.9% | 65.6% |
| *დივიდენდები* | 0 | 0 | 0 | | |
| *რენტა* | 925.8 | 644.4 | 614.0 | 66.3% | 95.3% |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 448.0 | 336.0 | 539.5 | 120.4% | 160.5% |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 20.0 | 15.0 | 6.5 | 32.5% | 43.3% |
| ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული | 5,000.0 | 3,750.0 | 3,127.6 | 62.6% | 83.4% |
| **სულ სხვა შემოსავლები:** | **21,100.0** | **16,151.5** | **11,768.3** | **55.8%** | **72.9%** |

**პროცენტების** სახით 2024 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 7,480.7 ათასი ლარის შემოსავალი, რაც წლიური გეგმის 50.9%-ია, ხოლო 9 თვის გეგმის – 65.6%. ფისკალური წლის დასასრულს გადასახდელების მოცულობის ზრდისა და წინა წლების ტენდენციის[2] გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ საპროცენტო შემოსავლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული გეგმური მაჩვენებელი არ შესრულდეს.

[2] პროცენტების სახით 2022 წლის 9 თვეში მობილიზებულ იქნა 3,388.9 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 48.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის - 70.6%-ს, 2023 წლის 9 თვეში - 7,893.1 ათასი ლარის შემოსავალი, რაც შეადგენდა წლიური გეგმის 59.4%-ს, ხოლო 9 თვის გეგმის - 82.7%-ს.

## 3. არაფინანსური აქტივების კლება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებელი 112,650.0 ათასი ლარის დონეზე განისაზღვრა, რაც 75,450.9 ათასი ლარით (202.8%-ით) აღემატება 2023 წლის ფაქტობრივ მაჩვენებელს.

***დიაგრამა 5.*** *„არაფინანსური აქტივების კლების" მუხლით რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლები 2020-2024 წლებში (ათასი ლარი)*




2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, „არაფინანსური აქტივების კლების" მუხლით მობილიზებულია 17,253.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 15.3%-ს შეადგენს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის – 32%-ს. მთავრობის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადებული აუქციონები, მათ შორის, რიგ ქონებაზე – არაერთგზის, არ შედგა, რის გამოც საანგარიშო პერიოდში ვერ მოხერხდა რიგი ქონების პრივატიზება.

„არაფინანსური აქტივების კლების" მუხლის დაგეგმვის პროცესში არსებულ ნაკლოვანებებზე აღინიშნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ" აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე. მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს არაფინანსური აქტივების კლების ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი არ შესრულდეს.

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოსაზრებით მნიშვნელოვანია, არაფინანსური აქტივების კლების საპროგნოზო მაჩვენებლები განისაზღვროს არსებული რესურსების, ბოლო წლების ტენდენციებისა და მოსალოდნელი პროგნოზების ანალიზის საფუძველზე.**

## 4. რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების ფაქტობრივმა ოდენობამ 403,458.4 ათასი ლარი შეადგინა და კანონით განსაზღვრული წლიური გეგმის 52.8%-ს გაუტოლდა. 2022-2023 წლების ანალოგიური მაჩვენებლები, შესაბამისად, 52.3% და 56.1%-ია.

***ცხრილი 4.** რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2023 წლის 9 თვის ფაქტი (1) | 2024 წლის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (3) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (4) | წლიური გეგმის შესრულება (4)/(2) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (4)/(3) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხარჯები | 259,280.5 | 605,095.5 | 435,223.4 | 343,130.0 | 56.7% | 78.8% |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 60,209.5 | 140,108.5 | 65,399.8 | 47,416.0 | 33.8% | 72.5% |
| ვალდებულებების კლება | 2,040.1 | 19,496.2 | 13,090.3 | 12,912.4 | 66.2% | 98.6% |
| სულ გადასახდელები: | 321,530.1 | 764,700.2 | 513,713.6 | 403,458.4 | 52.8% | 78.5% |

***დიაგრამა 6.** რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების და მისი ცალკეული კომპონენტის 9 თვის შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებით – 2021-2024 წლები (%)*




გადასახდელების ჩამორჩენა არსებითია 2024 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებითაც (78.5%). 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით გაწეული გადასახდელების საშუალო თვიური ათვისების მაჩვენებელი 44.8 მლნ ლარია, ხოლო 2024 წლის 10 თვის მდგომარეობით – 45.4 მლნ ლარი. იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების წლიური გეგმა (764.7 მლნ ლარი) შესრულდება, წლის ბოლო ორი თვის გადასახდელების საშუალო თვიური მაჩვენებელი 155.4 მლნ ლარს გაუტოლდება, რაც ფისკალური წლის პირველი ათი თვის ფაქტობრივი გადასახდელების საშუალო მაჩვენებელს 3.4-ჯერ აღემატება.

**შესაბამისად, მნიშვნელოვანია როგორც საბიუჯეტო დაწესებულებების, ასევე მაკოორდინირებელი უწყების მხრიდან, ყურადღება მიექცეს გამოყოფილი რესურსის დროულ ათვისებას, რათა საბიუჯეტო თანხების დიდი ნაწილი წლის ბოლო თვეში არ დაიხარჯოს.**

## 4.1 საბიუჯეტო ორგანიზაციების ბიუჯეტის დაგეგმვა და შესრულება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული ანალიზით, საბიუჯეტო ორგანიზაციების ჭრილში ვლინდება ბიუჯეტის დაგეგმვისა და შესრულების პროცესში არსებული ნაკლოვანებები, რაც გამოიხატება საანგარიშგებო პერიოდში განხორციელებული ხარჯთაღრიცხვის ხშირი ცვლილებებითა და დაბალი ათვისების მქონე პროგრამების/ქვეპროგრამების არსებობით.

### ½ ბიუჯეტის დაგეგმვა/დაზუსტება

საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტის შესრულების პროცესში ხშირად ხორციელდება რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული ასიგნებების გადანაწილება. აღნიშნული წარმოშობს ცალკეული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების დაფინანსებისათვის საჭირო სახსრების დეფიციტისა და დასახული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ რისკებს *(დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 1-ში)*. კერძოდ: რიგ შემთხვევებში, საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წლის განმავლობაში რესურსების მობილიზება ხდება ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე გათვალისწინება; ასევე ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში, ჭარბი ოდენობით რესურსი იგეგმება.

### ½ ბიუჯეტის შესრულება

რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული პროგრამების ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებების ათვისების საშუალო მაჩვენებელმა 9 თვის მდგომარეობით წლიური გეგმის – 52.6%, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 81.5% შეადგინა.[3] 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 60%-ზე დაბალი ათვისება აქვს 9 პროგრამას (პროგრამების 12.7%) და 16 ქვეპროგრამას (ქვეპროგრამების 15.2%) *(დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 2-ში)*. საყურადღებოა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების ნაწილი გასულ წელსაც დაბალი ათვისებით გამოირჩეოდა.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების/ქვეპროგრამების განხორციელების შეფერხებები შესაძლოა გამოწვეული იყოს ობიექტური გარემოებებით, მნიშვნელოვანია, განმახორციელებელი ორგანიზაციების მხრიდან ყურადღება მიექცეს პროექტების მართვის პროცესში პოტენციური შემაფერხებელი ფაქტორების დროულ იდენტიფიცირებას და გათვალისწინებულ იქნეს ისინი.

[3] მაჩვენებელი არ მოიცავს საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებს.

## 4.2 საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები

2024 წლის 9 თვეში **ხარჯების** საკასო შესრულება 92,093.4 ათასი ლარით ჩამორჩება საანგარიშგებო პერიოდის გეგმურ მაჩვენებელს. ხარჯების ათვისების დაბალი მაჩვენებელი ძირითადად დაკავშირებულია „საერთო დანიშნულების რესპუბლიკურ გადასახდელებთან“, სადაც აუთვისებელი დარჩა 63,494.67 ათასი ლარი, მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარებიდან აუთვისებელი დარჩა 44,143.50 ათასი ლარი.

***ცხრილი 5.*** *საერთო დანიშნულების რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელები (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|
| ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება | 160,393.9 | 109,661.8 | 85,753.5 | 53.5% | 78.2% |
| ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება | 136,063.4 | 86,874.5 | 66,639.4 | 49.0% | 76.7% |
| სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსება | 54,985.9 | 50,325.4 | 31,500.5 | 57.3% | 62.6% |
| საწევროები საერთაშორისო ორგანიზაციებში | 31.0 | 31.0 | 10.0 | 32.3% | 32.3% |
| სარეზერვო ფონდი | 134.1 | 134.1 | - | 0% | 0% |
| სესხების მომსახურების ხარჯები | 2,290.2 | 981.2 | 887.5 | 38.8% | 90.4% |
| უცხოეთიდან მიღებული სესხების დაბრუნება | 14,251.7 | 7,845.9 | 7,667.9 | 53.8% | 97.7% |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯილდოებისა და საპატიო წოდებებისათვის დაწესებული ერთდროული ფულადი გასაცემლების ფინანსური უზრუნველყოფა | 48.0 | 48.0 | 5.0 | 10.4% | 10.4% |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება | 5,244.5 | 5,244.5 | 5,244.5 | 100% | 100% |
| ჯანმრთელობისა და ეკოლოგიური რისკების რაოდენობრივი განსაზღვრა და ბათუმის ყოფილი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის ტერიტორიის რეაბილიტაციის ხელშეწყობა | 83.0 | 74.9 | 18.4 | 22% | 25% |
| **საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები** | **373,525.8** | **261,221.3** | **197,726.6** | **52.9%** | **75.7%** |

მოპოვებული ინფორმაციით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების მიერ სახელმწიფო შესყიდვების მართვაში არსებული ნაკლოვანებები განაპირობებს ბიუჯეტით გათვალისწინებული ინფრასტრუქტურული ღონისძიებების შეუსრულებლობას/დაგვიანებით შესრულებას და ქმნის ბიუჯეტით გათვალისწინებული ასიგნების ათვისების პრობლემას. ბოლო წლების ტენდენციის გათვალისწინებით მოსალოდნელია, რომ წლის ბოლოს ბიუჯეტის

აუთვისებლობის მაჩვენებელი კიდევ უფრო გაიზარდოს *(დეტალური ინფორმაცია იხ. დანართ 3-ში).*

*ცხრილი 6. ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|
| **მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი კაპიტალური ფინანსური დახმარება** | **160,393.9** | **109,661.8** | **85,753.5** | **53.5%** | **78.2%** |
| ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | 89,008.1 | 62,399.5 | 45,857.7 | 51.5% | 73.5% |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 22,095.8 | 16,814.9 | 14,049.9 | 63.6% | 83.6% |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 21,100.0 | 15,651.1 | 13,755.0 | 65.2% | 87.9% |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 7,150.0 | 4,285.3 | 3,609.0 | 50.5% | 84.2% |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 10,000.0 | 5,240.0 | 3,684.2 | 36.8% | 70.3% |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 11,040.0 | 5,271.0 | 4,797.7 | 43.5% | 91.0% |
| მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი სპეციალური ფინანსური დახმარება | **136,063.4** | **86,874.5** | **66,639.4** | **49.0%** | **76.7%** |
| ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი | 113,215.8 | 69,626.7 | 52,428.7 | 46.3% | 75.3% |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტი | 9,801.0 | 7,564.4 | 5,380.2 | 54.9% | 71.1% |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი | 3,065.1 | 2,267.6 | 2,202.6 | 71.9% | 97.1% |
| ქედის მუნიციპალიტეტი | 2,161.7 | 1,561.7 | 1,445.6 | 66.9% | 92.6% |
| შუახევის მუნიციპალიტეტი | 2,485.0 | 1,797.0 | 1,436.4 | 57.8% | 79.9% |
| ხულოს მუნიციპალიტეტი | 5,334.7 | 4,057.1 | 3,745.8 | 70.2% | 92.3% |
| **სულ ჯამი** | **296,457.3** | **196,536.4** | **152,392.9** | **51.4%** | **77.5%** |

„საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელების“ ათვისების დაბალი მაჩვენებელი მნიშვნელოვნად დაკავშირებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების დაფინანსებასთან, სადაც გადახრა წლიურ გეგმასთან მიმართებით შეადგენს 23,485.5 ათას ლარს, ხოლო 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან – 18,824.9 ათას ლარს; მათ შორის, ძირითადი წილი მოდის შპს „აჭარის პროექტების მართვის კომპანიაზე“, სადაც 2024 წლის 9 თვის გეგმიდან აუთვისებელია 12,626.1 ათასი ლარი. მოწოდებული ინფორმაციით, ამგვარი შედეგი ძირითადად დაკავშირებულია მიმწოდებელი კომპანიების მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების დაგვიანებით შესრულებასთან.

## 5. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები

2024 წლის 9 თვის მდგომარეობით, რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხების მომსახურებასა და დაფარვაზე მიიმართა 13,799.9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის 63.3%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 98.1%-ს შეადგენს.

*ცხრილი 7. რესპუბლიკური ბიუჯეტის სესხები – 2024 წლის 9 თვე (ლარი, ევრო)*

| სესხის დასახელება | გამოყოფილი სესხები | ათვისებულია 30/09/2024 | გადახდილია 2024 წლის 9 თვეში | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | | ძირითადი | პროცენტი | აუთვისებლობისათვის დარიცხული პროცენტი |
| გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხი („აჭარის მყარი ნარჩენების მართვა“ - პროექტი) | 3,000,000 EUR | 3,000,000 EUR | 506,927 EUR | 44,739 EUR | - |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი („კომუნალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია“) | 6,700,000 EUR | 6,700,000 EUR | 223,300 EUR | 22,340 EUR | - |
| გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით და ევროკავშირის თანადაფინანსებით მიღებული სესხი („აჭარის სოფლების წყალმომარაგება“) | 40,000,000 EUR | 11,472,839 EUR | 1,904,000 EUR | 166,533 EUR | 38,000 EUR |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი („აჭარის მყარი ნარჩენების მართვა“ - II ფაზა) | 19,000,000 EUR | 2,331,024 EUR | | 28,969 EUR | 4,686 EUR |
| საქართველოს ფინანსთა სამინისტრო (კანადურ კომპანიასთან გაფორმებული მორიგების ხელშეკრულება) | 20,000,000 ₾ | 20,000,000 ₾ | 5,244,483 ₾ | - | - |
| **ჯამი:** | 68,700,000 EUR<br><br>20,000,000 ₾ | 23,503,863 EUR<br><br>20,000,000 ₾ | 2,634,227 EUR<br><br>5,244,483 ₾ | 262,581 EUR | 42,686 EUR |

საქართველო-გერმანიის ფინანსური თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში, გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკის (KFW) მხარდაჭერითა და ევროკავშირის თანადაფინანსებით, აჭარის სოფლების წყალმომარაგებისა და წყალანირების პროგრამისათვის და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) „აჭარის მყარი ნარჩენების მართვის“ II ფაზისთვის გამოყოფილი, ჯამში 59.0 მლნ ევროს ოდენობის სესხებიდან, საანგარიშო პერიოდისთვის ათვისებულია მხოლოდ 13.8 მლნ ევრო. საკრედიტო ხელშეკრულებების შესაბამისად, ყოველწლიურად სესხის აუთვისებელ ნაწილზე ხორციელდება ვალდებულების გადასახადის გადახდა, აუთვისებელი თანხის 0.5%-ის ოდენობით. 2024 წლის

30 სექტემბრის მდგომარეობით, აღნიშნული სესხის ფარგლებში, სესხის აუთვისებლობისათვის, ვალდებულების გადასახადის სახით ჯამურად გადახდილია 42.7 ათასი ევრო.

*ცხრილი 8. რესპუბლიკური ბიუჯეტის ვალის მომსახურებისა და დაფარვის ხარჯები – 2024 წლის 9 თვე (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|
| გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) კომუნალური ინფრასტრუქტურის დაწესებულებათა რეაბილიტაციისათვის მიღებული სესხი | **14,514.1** | **6,985.3** | **6,836.5** | **47.1%** | **97.9%** |
| ვალდებულებების კლება | 12,730.9 | 6,325.1 | 6,177.9 | 48.5% | 97.7% |
| პროცენტი | 1,783.2 | 660.2 | 658.7 | 36.9% | 99.8% |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან (EBRD) მიღებული სესხი | **2,027.8** | **1,841.8** | **1,718.9** | **84.8%** | **93.3%** |
| ვალდებულებების კლება | 1,520.8 | 1,520.8 | 1,490.1 | 98.0% | 98.0% |
| პროცენტი | 507.0 | 321.0 | 228.8 | 45.1% | 71.3% |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სესხის დაბრუნება | **5,244.5** | **5,244.5** | **5,244.5** | **100%** | **100%** |
| ვალდებულებების კლება | 5,244.5 | 5,244.5 | 5,244.5 | 100% | 100% |

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებით, მნიშვნელოვანია მაკონტროლებელმა უწყებებმა სათანადო მონიტორინგის საშუალებით უზრუნველყონ პროექტის განხორციელების დამაბრკოლებელი გარემოებების დროული გამოვლენა, ნაკლოვანებებზე სათანადო რეაგირება და მოზიდული ფინანსური რესურსის ეფექტიანი გამოყენება.

## დანართი 1. ბიუჯეტის დაგეგმვა და დაზუსტება – მაგალითები

*მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის შესახებ მაჩვენებლები – 2024 წლის 9 თვე (ათასი ლარი)*[4]

| ორგ. კოდი | მხარჯავი დაწესებულების დასახელება | ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობის რაოდენობა | თანხა (ათასი ლარი) |
|---|---|---|---|
| 01 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო | 1 | 70.0 |
| 03 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა | 1 | 49.1 |
| 04 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | 22 | 5,084.9 |
| 05 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | 25 | 1,664.7 |
| 06 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | 4 | 919.5 |
| 07 00 | აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | 1 | 20.0 |
| 09 00 | საერთო დანიშნულების რესპუბლიკური გადასახდელები | 2 | 232.9 |
| ჯამი: | | **56** | **8,041.1** |

| 1. წლის განმავლობაში, ასიგნებებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, თანხები მიიმართება ისეთი ღონისძიებების/პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება: |
|---|
| **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის** ქვეპროგრამას - „გზების რეაბილიტაცია“ (04 14 02 01), 2024 წლის გეგმა დაუმტკიცდა 22,033.9 ათასი ლარის ოდენობით. ქვეპროგრამაზე წლის განმავლობაში დამატებით გადანაწილდა სულ - 747.4 ათასი ლარი. მათ შორის, უძრავი ქონების გამოსყიდვის მიზნით „გზების რეაბილიტაციის“ ბიუჯეტი გაიზარდა 402.2 ათასი ლარით,[5] ხოლო გასული წლის დავალიანების ანაზღაურებისა და ღონისძიებების განხორციელების მიზნით - 861.7 ათასი ლარით.[6] მოპოვებული ინფორმაციით, სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება; |

[4] არ მოიცავს დროებითი შრომისუუნარობისა და ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო, შევებულების ანაზღაურების მიზნით „შრომის ანაზღაურების“ მუხლიდან „სოციალურ უზრუნველყოფის“ მუხლში გადატანილ თანხებს.

[5] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N371, 19/02/2024.

[6] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N533, 01/03/2024.

| |
|---|
| - **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - საავტომობილო გზების დეპარტამენტის** ქვეპროგრამას - „ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია“ (04 14 02 02) 2024 წლის გეგმა დაუმტკიცდა 17,275.8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო ქვეპროგრამას - „საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა“ - 20,656.3 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნულ ქვეპროგრამებზე სულ წლის განმავლობაში დამატებით გადანაწილდა, შესაბამისად, 683.5 ათასი ლარი და 204.9 ათასი ლარი. მათ შორის, გასული წლის დავალიანების ანაზღაურებისა და ღონისძიებების განხორციელების მიზნით აღნიშნული ქვეპროგრამების ბიუჯეტი გაიზარდა 515.6 ათასი ლარით.[7] მოპოვებული ინფორმაციით, სათანადო დაგეგმვის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნებოდა ასიგნებების ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზევე გათვალისწინება. |
| **2. ზოგიერთი საბიუჯეტო ორგანიზაციის შემთხვევაში, პროგრამების/ქვეპროგრამების ან ცალკეული საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლების ფარგლებში, დაგეგმილ იქნა ჭარბი ოდენობით რესურსი ან/და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა სხვადასხვა პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე:** |
| - **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს** „ქალაქმშენებლობითი და სივრცითი მოწყობის პროგრამას“ (04 01 03) 2024 წლის გეგმა დაუმტკიცდა 8,678.5 ათასი ლარის ოდენობით. სხვადასხვა პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე წლის განმავლობაში გადანაწილდა 2,533.9 ათასი ლარი. მათ შორის, „ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობის“ ქვეპროგრამაზე გადანაწილდა 2,308.5 ათასი ლარი.[8] თანხის მოცულობის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ იქნა ჭარბი ოდენობით რესურსი და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა სხვა ქვეპროგრამაზე; <br>- **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ – აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს** ქვეპროგრამიდან - „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება“ (05 14 10 02), სხვა ქვეპროგრამაზე გადანაწილდა 450.0 ათასი ლარი.[9] თანხის მოცულობისა და ქვეპროგრამის დაზუსტებული გეგმის 9 თვის შესრულების მონაცემების (39.0%) გათვალისწინებით, ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილ იქნა ჭარბი ოდენობით რესურსი და წლის განმავლობაში აუთვისებელი საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა სხვა ქვეპროგრამაზე. |

[7] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N1020, 16/04/2024.
[8] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N1944, 11/07/2024.
[9] საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობა N1969, 15/07/2024.

## დანართი 2. დაბალი ათვისების მქონე პროგრამები – მაგალითები

*2024 წლის 9 თვის გეგმასთან მიმართებით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროგრამის/ქვეპროგრამის მაჩვენებლები - 2024 წ. (ათასი ლარი)*

| კოდი | დასახელება | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|---|
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | | | | | | |
| 04 01 02 02 | რეგიონის საინვესტიციო პოტენციალის პრომოუშენი | 176.6 | 114.1 | 64.6 | 36.6% | 56.6% |
| 04 01 05 | მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა | 100.0 | 100.0 | - | 0% | 0% |
| 04 01 06 | საინჟინრო და კომუნალური ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა | 1,500.0 | 1,500.0 | 258.8 | 17.3% | 17.3% |
| 04 01 06 01 | აჭარის მაღალმთიანი რეგიონის გაზიფიცირება | 1,500.0 | 1,500.0 | 258.8 | 17.3% | 17.3% |
| 04 13 02 03 | რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება | 1,570.0 | 770.0 | 239.3 | 15.2% | 31.1% |
| 04 13 03 05 | ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა | 1,382.7 | 595.0 | 301.6 | 21.8% | 50.7% |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო | | | | | | |
| 05 03 03 | საჯარო სკოლების მატერიალური ბაზის გაუმჯობესება | 3,085.0 | 2,065.0 | 1,175.7 | 38.1% | 56.9% |
| 05 06 | აჭარაში მოქმედი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობა და ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | 8,669.2 | 5,588.0 | 2,799.7 | 32.3% | 50.1% |
| 05 07 04 | საპანსიონო მომსახურების მქონე საჯარო სკოლების და გაძლიერებული (ფიზიკა, მათემატიკა) სწავლების ხელშეწყობა | 814.6 | 590.1 | 346.9 | 42.6% | 58.8% |
| 05 10 02 | უმაღლესი განათლების ხელშეწყობა | 640.0 | 450.0 | 85.7 | 13.4% | 19.1% |
| 05 10 05 | უცხოეთში სტაჟირება | 108.5 | 80.9 | 42.7 | 39.4% | 52.9% |
| 05 14 01 01 | პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების  და ღონისძიებების ორგანიზება | 1,943.7 | 1,224.2 | 679.3 | 34.9% | 55.5% |
| 05 14 03 | ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა | 727.4 | 553.5 | 291.0 | 40 % | 52.6% |
| 05 14 08 | კულტურის სფეროს წარმომადგენელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა | 498.0 | 338.0 | 134.3 | 27 % | 39.7% |
| 05 14 10 | კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, განვითარება და პოპულარიზაცია | 7,144.1 | 4,786.7 | 2,493.6 | 34.9% | 52.1% |
| 05 14 10 02 | კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარება | 5,591.6 | 3,610.0 | 1,407.8 | 25.2% | 39 % |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 05 14 14 | ლიტერატურული ცხოვრების განვითარების ხელშეწყობა | 442.4 | 349.3 | 176.9 | 40 % | 50.6% |
| 05 14 15 | კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება | 2,661.3 | 292.2 | - | 0% | 0% |
| 05 18 06 01 | არაფორმალური განათლება, გართობა და შემეცნება | 1,093.1 | 1,021.1 | 602.0 | 55.1% | 59.0% |
| 05 18 06 03 | კარიერული განვითარებისა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა | 308.0 | 272.8 | 111.2 | 36.1% | 40.8% |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო | | | | | | |
| 06 06 08 | შშმ სტატუსის მქონე მშობელთა და ორსულთა ერთჯერადი მატერიალური დახმარება | 40.0 | 32.0 | 18.0 | 45.0% | 56.3% |
| 06 06 09 | სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარება | 2,088.0 | 835.2 | 132.6 | 6.4% | 15.9% |
| 06 10 02 | საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობა | 120.0 | 90.0 | - | 0% | 0% |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო | | | | | | |
| 07 05 05 | ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაცია | 60.0 | 30.0 | 8.8 | 14.7% | 29.5% |
| 07 16 | სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა | 5,337.2 | 4,472.6 | 1,956.6 | 36.7% | 43.7% |

**2. გარკვეული პროგრამები/ქვეპროგრამები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება წლიურ და 2024 წლის 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**

- ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ქვეპროგრამაზე - „აჭარის მაღალმთიანი რეგიონების გაზიფიცირება“ (04 01 06 01), ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 1,500.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის საკასო შესრულებამ 258.8 ათასი ლარი (წლიური და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 17.3%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, გაზსადენის მშენებლობის შეფერხება დაკავშირებულია ხულო-ზარზმის საავტომობილო გზის სარეკონსტრუქციო სამუშაოებთან, რადგან გაზსადენის კონტური გასდევს საავტომობილო გზის კონტურს. გზის რეკონსტრუქციის პროფილის ჩამოყალიბება ეტაპობრივად მიმდინარეობს და შესაბამისად, ხორციელდება გაზსადენის სამონტაჟო სამუშაოები. საყურადღებოა, რომ ანალოგიური მიზეზით აღნიშნული ქვეპროგრამის ათვისების მაჩვენებელი დაბალი იყო გასულ წლებშიც;
- განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ - აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ქვეპროგრამის - „კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება და განვითარების“ ფარგლებში (05 14 10 02), 9 თვის მდგომარეობით ათვისებულია 1,407.8 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის - 25.2%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 39%-ს შეადგენს. წარმოდგენილი ინფორმაციით, ბიუჯეტის ათვისების დაბალი მაჩვენებელი განპირობებულია ქვეპროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ვადებში შეუსრულებლობით. მათ შორის, ავარიულ მდგომარეობაში მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი ორჯერ არ შედგა, ზვარესა და ძენწმანის მეჩეთების სარეაბილიტაციო სამუშაოებზე გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი არ შედგა, რის გამოც განმეორებით გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი, ხოლო ხინოს ეკლესიის რეაბილიტაცია სახელშეკრულებო ვადებში ვერ დასრულდა და სხვ.;

- ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ქვეპროგრამის - „სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური დახმარების“ ფარგლებში (06 06 09) 9 თვის მდგომარეობით ათვისებულია 132.6 ათასი ლარი, რაც წლიური დამტკიცებული გეგმის – 6.4%-ს, ხოლო 9 თვის დაზუსტებული გეგმის 15.9%-ს შეადგენს. ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი 663 ოჯახისათვის, რომლის შემადგენლობაში არის 16 წლამდე ასაკის ერთი წევრი მაინც, ყოველთვიურად 200-ლარიანი დახმარების გაწევას. აღსანიშნავია, რომ პროექტი საპილოტეა. 9 თვის მონაცემებით, ბენეფიციარების მხრიდან დაინტერესება აღმოჩნდა მოსალოდნელზე ნაკლები;
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროგრამაზე - „სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა“ (07 16), ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 5,337.2 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 4,472.6 ათასი ლარი, ხოლო ამ პერიოდის საკასო შესრულებამ 1,956.6 ათასი ლარი (წლიური გეგმის - 43.7%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის - 36.7%) შეადგინა. სამინისტროს განმარტებით, ღონისძიების - „სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა“ ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა ღონისძიების განხორციელების წესი. აღნიშნული წესის შესაბამისად, საანგარიშო პერიოდში მიღებულია 5,613 განაცხადი, საიდანაც ბენეფიციარად შეირჩა 3,856 განმცხადებელი. შერჩეული ბენეფიციარებიდან, საანგარიშო პერიოდში, განაცხადებით გათვალისწინებული საქონელი შესყიდულ იქნა 3,219 ბენეფიციარის მიერ, საიდანაც 1,945 ბენეფიციარმა თანადაფინანსებით შეისყიდა საქონელი, ღირებულებით - 1,725.4 ათასი ლარი, ხოლო 1,274 ბენეფიციარის მიერ, შესყიდული საქონლის თანადაფინანსების მიზნით, მზადდება საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია. გარდა აღნიშნულისა, მიმდინარეობს პროცედურები 637 ბენეფიციარის მიერ განცხადებით გათვალისწინებული საქონლის შესყიდვაზე, რის შემდგომ შესაბამისი თანადაფინანსება განხორციელდება მეოთხე კვარტალში.

## დანართი 3. მუნიციპალიტეტების დაბალი ათვისების მქონე პროექტები – მაგალითები

*რესპუბლიკური ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულ წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით, 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით დაბალი ათვისების მქონე ზოგიერთი პროექტი - 2024 წ. (ათასი ლარი)*

| დასახელება | 2024 წლის გეგმა (1) | 2024 წლის 9 თვის გეგმა (2) | 2024 წლის 9 თვის ფაქტი (3) | წლიური გეგმის შესრულება (3)/(1) | 2024 წლის 9 თვის გეგმის შესრულება (3)/(2) |
|---|---|---|---|---|---|
| **ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტი** | | | | | |
| ქ. ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა | 3,255.4 | 3,255.3 | 116.5 | 3.6% | 3.6% |
| ქ. ბათუმში, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა | 3,115.0 | 3,114.8 | 757.9 | 24.3% | 24.3% |
| ქ. ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა | 2,720.8 | 1,000.0 | - | 0% | 0% |
| ქ. ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რეაბილიტაცია | 2,587.3 | 2,587.3 | - | 0% | 0% |
| **ქობულეთის მუნიციპალიტეტი** | | | | | |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების სამუშაოები | 4,300.0 | 3,530.0 | 2,374.4 | 55.2% | 67.3% |
| ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია | 3,265.8 | 2,520.3 | 1,601.2 | 49.0% | 63.5% |
| ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა კვირიკეში საბავშვო ბაღის მშენებლობა | 1,456.3 | 1,336.1 | 779.9 | 53.6% | 58.4% |
| ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის N271-ში სკვერის მოწყობა | 383.0 | 383.0 | - | 0% | 0% |
| **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი** | | | | | |
| საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია (სოფელ ახალსოფელში საბავშვო ბაღის მშენებლობა) | 3,278.5 | 2,701.9 | 1,898.2 | 57.9% | 70.3% |
| ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია | 1,837.2 | 1,259.2 | 840.9 | 45.8% | 66.8% |
| **ხულოს მუნიციპალიტეტი** | | | | | |
| ვაშლოვანის მთაში მინი სპორტული მოედნის მშენებლობა | 150.0 | 70.0 | - | 0% | 0% |
| სოფელ რიყეთის მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაცია | 148.8 | 50.0 | - | 0% | 0% |
| სოფელ ტუნაძეებში ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობა | 242.0 | 219.0 | 138.0 | 57.0% | 63.0% |
| **ქედის მუნიციპალიტეტი** | | | | | |
| დაბა ქედის ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა | 134.0 | 134.0 | 65.6 | 49.0% | 49.0% |
| ქედის მუნიციპალიტეტში მეწყერ-საწინააღმდეგო ღონისძიებები | 765.2 | 314.6 | 109.5 | 14.3% | 34.8% |

**3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტების გარკვეული პროექტები ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან წლიურ და 9 თვის დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით**

- **ქალაქ ბათუმში, აეროპორტის გზატკეცილი N82-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 3,255.3 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 116.4 ათასი ლარი (წლიური და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 3.6%) შეადგინა. მერიის განმარტებით, ხორციელდება ორსართულიანი, 3 150 კვ.მ ფართის, 18-ოთახიანი, ოთხჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მეორე სართულის მშენებლობის სამუშაოები. მიმწოდებელ კომპანიას შესრულებული სამუშაოების დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება სრულად ვერ იქნა ათვისებული;
- **ქალაქ ბათუმში, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 3,115.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 3,114.8 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 757.9 ათასი ლარი (წლიური და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 24.3%) შეადგინა. მერიის განმარტებით, მიმდინარეობს ორსართულიანი, 3 150 კვ.მ ფართის, 18-ოთახიანი, ოთხჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარე ეტაპისათვის აშენდა საბავშვო ბაღის ორი სართული, მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა. მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია. გამომდინარე აქედან, გეგმით გათვალისწინებული ასიგნება სრულად ვერ იქნა ათვისებული;
- **ქალაქ ბათუმში, გონიოს ყოფილი მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი საავტომობილო გზის კეთილმოწყობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 2,720.7 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ კი 1,000.0 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 9 თვეში ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა. მერიის განმარტებით, მიმდინარეობს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოება. ამ ეტაპზე დასრულდა მიწისქვეშა კომუნიკაციების მოწყობის სამუშაოები სანიაღვრე არხებით, მოეწყო ბეტონის საფარი და დაიგო ასფალტბეტონის პირველი ფენა; ასევე დამონტაჟდა განათების ბოძები. მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად სამმართველოში შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, რის გამოც გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა ათვისებული;
- **ქალაქ ბათუმში, ალ. სულაბერიძისა და გ. ბრწყინვალეს ქუჩების კვეთიდან ალ. პუშკინის ქუჩამდე, ალ. პუშკინის ქუჩიდან იმედაშვილის ქუჩამდე და იმედაშვილის ქუჩა ბაქოს ქუჩამდე გზის რებილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 2.587.2 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 9 თვეში ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა. მერიის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოები არ დაწყებულა, მიმდებარე ლოკაციაზე მიმდინარეობს შავშეთის ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები, რის გამოც აღნიშნულ ქუჩაზე საავტომობილო მოძრაობა შეიზღუდა. საპატრულო პოლიციამ, საავტომობილო კოლაფსის თავიდან აცილების მიზნით, არ გასცა აღნიშნულ ქუჩებზე საავტომობილო მოძრაობის შეზღუდვაზე ნებართვა, ვიდრე არ დასრულდება შავშეთის ქუჩის რეაბილიტაცია. ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, გეგმით გათვალისწინებული ასიგნება ვერ იქნა ათვისებული;
- **ქალაქ ბათუმში, ალექსანდრე ნანეიშვილის ქ. N12-ის მიმდებარედ საბავშვო ბაღის მშენებლობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 3,115.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 757.9 ათასი ლარი (წლიური და 9 თვის დაზუსტებული გეგმის 24.3%) შეადგინა. მერიის განმარტებით, მიმდინარეობს ორსართულიანი, 3 150 კვ.მ ფართის,

18-ოთახიანი, ოთხჯგუფიანი საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარე ეტაპისთვის აშენდა საბავშვო ბაღის ორი სართული, მიმდინარეობს შიდა მოსაპირკეთებელი სამუშაოები და ეზოს კეთილმოწყობა. მიმწოდებელ კომპანიას შესრულებულ სამუშაოებზე დასაფინანსებლად შესაბამისი დოკუმენტაცია არ წარმოუდგენია, გამომდინარე აქედან, გეგმით გათვალისწინებული ასიგნება სრულად ვერ იქნა ათვისებული;

- **ქობულეთის მუნიციპალიტეტში სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებები** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 4,300.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 3,530.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 2,374.3 ათასი ლარი (წლიური გეგმის 55.2%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 67.3%) შეადგინა. მერიის განმარტებით, აღნიშნულის ძირითადი მიზეზი ბიუჯეტის ცვლილების დროს დაფინანსების 1,500.0 ათასი ლარით ზრდაა. გამოცხადებულია ელექტრონული ტენდერი ახალ გარდამავალ შესყიდვაზე;
- **ქალაქ ქობულეთში ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ 3,265.7 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 2,520.3 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 1,601.2 ათასი ლარი (წლიური გეგმის 49.0%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 63.5%) შეადგინა. მერიის განმარტებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში მიმწოდებლის მიერ არ არის წარმოდგენილი სამუშაოს შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები და საექსპერტო დასკვნები;
- **ქალაქ ქობულეთში, დავით აღმაშენებლის N271-ში სკვერის მოწყობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა და 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ 382.9 ათასი ლარი შეადგინა. 2024 წლის 9 თვეში ფაქტობრივი ხარჯი არ გაწეულა. მოპოვებული ინფორმაციით, აღნიშნულის ძირითადი მიზეზია სახელწიფო შესყიდვის პროცედურების დაგვიანებით დაწყება;
- **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 1,837.2 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 1,259.2 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 840.8 ათასი ლარი (წლიური გეგმის 45.8%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 66.8%) შეადგინა. მერიის განმარტებით, მიმწოდებელმა 9 თვეში ვერ წარმოადგინა სამუშაოების შესრულების დოკუმენტები;
- **ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ტუნაძეებში ახალგაზრდობის ცენტრის მშენებლობა** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 242.0 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 219.0 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 137.9ათასი ლარი (წლიური გეგმის 57.0%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 63.0%) შეადგინა. მერიის განმარტებით, მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულა სამუშაოები და ერიცხება პირგასამტეხლო;
- **ქედის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში მეწყერ-საწინააღმდეგო ღონისძიებები** - ბიუჯეტის კანონით დამტკიცებულმა წლიურმა გეგმამ - 765.2 ათასი ლარი, 9 თვის დაზუსტებულმა გეგმამ - 314.6 ათასი ლარი, ხოლო 9 თვის ფაქტობრივმა ხარჯმა 109.4 ათასი ლარი (წლიური გეგმის 14.3%, 9 თვის დაზუსტებული გეგმის 34.8%) შეადგინა. მერიის განმარტებით, სამუშაოების შესასყიდად გამოცხადებული ტენდერები დასრულდა უარყოფითი შედეგით, დღეის მდგომარეობით დადებულია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებები.